# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№ 1115 2019 წლის 17 მაისი ქ. თბილისი

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ**

1. დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 მაისის №1030 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის თანახმად, ქ. თბილისსა და საქართველოს ხუთ სხვადასხვა ქალაქში ფიცის დადების განსახორციელებელი ცერემონიალის გადაღებასა და გაშუქებასთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველყოფა.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის

სარეზერვო ფონდიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოუყოს 460 000 (ოთხას სამოცი ათასი) ლარი.

**პრემიერ-მინისტრი** **მამუკა ბახტაძე**